პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲚᲔᲚᲝ

№ 88 (6153)

6 1978 წ. მაისი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

4 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვიდან ოფიციალური ვიზიტად გაემგზავრა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვ. მე�sა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის ჰ. შმიტის მიწვევით.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად გაემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, საგმოქალაქო ავიაციის მინისტრი ბ. პ. ბუგაევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები ა. მ. ალექსანდროვი, ა. ი. ბლატოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ლ. მ. ზამიატინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. გ. კოვალოვი.

იმავე დღეს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი და მისი თანმხლები პირნი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩავიდნენ.





უკვდავი სიმამაცის ფურცლები

სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ნაწარმოებებისადმი „მცირე მიწა“ და „აღორძინება“

4 მაისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა სამეცნიერო სესია „საბჭოთა პარტიული და იდეოლოგიური აქტივის მონაწილეობით, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებებს „მცირე მიწასა“ და „აღორძინებას“ — „ხალხის დიადი გმირობის მატიანეს, პარტიული გამოცდილების დაუშრეტელ საუნჯეს“.

სამეცნიერო სესიის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ჯ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კუნაძე, გ. ვ. კოლბინი, ო. ო. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. ბატარაძე, კ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, თ. ი. ფოსაშვილი, ს. ვ. ხაბეიშვილი, ნ. ე. ჩერქეზიანი, ფ. კ. შარტავა.

აქვე არიან სამეცნიერო სესიაზე მოსკოვიდან, კიევიდან, დნეპროპეტროვსკიდან, ზაპოროჟიედან, ნოვოროსიისკიდან, გელენჯიკიდან, ტერჩიდან, ბაქოდან, სოხუმიდან, მცხეთიდან ჩამოსული „სტუმრები.

სამეცნიერო სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. მ. სირაძემ.

მოხსენებით „ხალხის დიადი გმირობის მატიანე — პარტიული გამოცდილების დაუშრეტელი საუნჯე“ გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

სამეცნიერო სესიაზე მოხსენებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. კ. ხარაძე, გენერალ-პოლკოვნიკი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდალი ო. თ. კულიშევი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ინსტიტუტის დირექტორი დ. ვ. სტურუა, ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ რედაქტორი ბ. ლ. ახალთინი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი რ. ბ. ბორდეზიანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ე. ო. მინდელი, სოციალისტური შრომის გმირი, მაზარაძის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ თავმჯდომარე ბ. თ. ორაგველიძე.

სამეცნიერო სესიაზე სიტყვით გამოვიდნენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსი ბ. თ. ჩერედილოვი, საქართველოს კომპარტიის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი ა. ი. აზიროვი, გადამდგარი გენერალ-მაიორი ვ. ე. ზარელუა, პოლკოვნიკი ო. კ. ლესელიძე და სხვ.



კავკასიის დამცველ გმირთა ობელისკი

4 მაისს თბილისში, საბურთალოს ახალ მშენებლობათა რაიონში, ვაჟა-ფშაველას პროსპექტის ბოლოში, სანდრო ეფლის ქუჩის გადაკვეთაზე გაიმართა კავკასიის დამცველთა ობელისკის საძირკვლის ჩაყრისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი საზეიმო მიტინგი.

კავკასიის დამცველთა ობელისკი, რომელიც იმ ქარცეცხლიანი დღეების აღსანიშნავად აღიმართება, სიმბოლურად გამოხატავს საბჭოთა ხალხის მონოლითურობას, შეუდრეკელობასა და გმირობას, ხალხისა, რომელმაც ოქტომბრის დიადი მონაპოვრები დაიცვა და უმაგალითო შრომითი გმირობა გამოიჩინა გადაბუგული მიწის აღორძინებაში.

მიტინგის მონაწილეებმა ყვავილებით შეამკეს იმ ადგილას დადებული ქვა, სადაც კავკასიის დამცველ გმირთა ობელისკი აღიმართება.

მიტინგს დაესწრნენ ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ვ. მ. სირაძე, თ. ი. მოსაშვილი, ე. კ. შარტავა (საქინფორმი).

გმირგვინებით შეამკეს

4 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებებისადმი „მცირე მიწისა“ და „აღორძინებისადმი“ მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მონაწილენი და სტუმრები ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე მივიდნენ, რათა პატივი მიეგოთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს უკვდავი შემქმნელის, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინისათვის.

სესიის მონაწილეთა სახელით მათ გვირგვინით შეამკეს მონუმენტის კვარცხლბეკი.

• • •

ლენინის მოედნიდან სესიის მონაწილენი გამარჯვების პარკში გაემართნენ.

აქ განისვენებს ყოველი საბჭოთა ადამიანისთვის ძვირფასი სამშობლოს უცნობი დამცველი, ფაშიზმთან სამკვლარო-სასიცოცხლო შერკინებაში დაღუბული გმირი.

უცნობი ჯარისკაცის საფლავი გვირგვინით შეამკეს (საქინფორმი).

სარდლის სხეულს მიეძღვნა

მე-18 არმიის სარდლის, საბჭოთა კავშირის გმირის კ. ნ. ლესელიძის ძეგლის გვირგვინით შემკობით დაიწყო სასელოვანი მხედართმთავრის სხეულისადმი მიძღვნილი მოკრძალებული ტრადიციული ტურნირი. თბილისში, გმირის სახელობის ქუჩაზე თავი მოიყარეს ამ არმიის ვეტერანებმა, ახალგაზრდა მეომრებმა, სპორტსმენებმა, მსაჯებმა და საქართველოს სპორტკომიტეტის წარმომადგენლებმა.

ტურნირის მონაწილეებმა და სტუმრებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს მხედართმთავრის სხეულს. ავტომანქანების კორტეჟი გორისკენ დაიძრა. კოლონას სათავეში უდგანან სპორტსმენები, რომელთაც მიაქვთ გამარჯვების პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავთან მუდმივი ცეცხლიდან ანთებული ჩირაღდანი.

ტურნირში მონაწილეობენ საქართველოს, ოდესის, ვოლგოგრადის, ბაქოს, კიშინიოვისა და ქვეყნის სხვა ქალაქების მოკრივეები.

ფინალური შეხვედრები 9 მაისს გაიმართება (საქინფორმი).

• • •

სურათზე: კ. ნ. ლესელიძის ძეგლთან; გორისკენ მიმავალ გზაზე; გორში, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲨᲘ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲖᲔ

ᲙᲠᲘᲕᲘ

დღეს ბელგრადში საზეიმოდ გაიხსნება მსოფლიო პირველობა კრივში. საბჭოთა მოკრივეებიდან შეეჯიბრებიან მონაწილეობას მიიღებენ სადირვი, მიხაილოვი, პაკი, რიბაკოვი, სოროკინი, ლვოვი, ტარჩოკოვი, სავჩენკო, შაპოშნიკოვი, ეროფეევი და ვისოცკი. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის წლეულდელი ჩემპიონთა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ა. ბოხანიშვილი ბელგრადის რინგზე არ გამოვა. ამ დღეებში ამირანი შეკრებიდან შინ დაბრუნდა. აი, რა გვაცნობა მან:

„ბელგრადის ჩემპიონატისთვის საკმაოდ კარგად ვიყავი მომზადებული და საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. კისელიოვმა 54 კგ წონით კატეგორიაში პირველ ნომრად მე დამასახელა, მაგრამ ალმა-ათაში, საერთაშორისო ტურნირზე საკმაოდ სერიოზულად დამზადებული წარბი და ამიტომ ნაკრების ხელმძღვანელებმა ბელგრადის რინგზე ჩემი გამოყენა სარისკოდ მიიჩნიეს.

ხშირად მეკითხებიან — მსოფლიო ჩემპიონატზე რომ წასულიყავი, წარმატების როგორი შანსი გექნებოდაო... გადაჭრით რამის თქმა, რასაკვირველია, მიძნელდება, რადგან ბელგრადის რინგზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და კუბის უძლიერეს მოკრივეებთან მომიხდებოდა შეხვედრები, მაგრამ რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ სპორტზო ადგილს ნამდვილად მოვიპოვებდი.

გულს, რასაკვირველია, არ გვიტეხ — წინ ხომ ევროპის პირველობა და მოსკოვის ოლიმპიადაა. შეეცდები, გულშემატკივრებს იმედი გავუმართლო“.

საუბარი ჩაიწერა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა შ. ბრეგვაძემ.

ᲫᲘᲓᲐᲝᲑᲐ

27 წლის შემდეგ პირველად „იაპალიში“

ᲑᲔᲚᲘᲜᲙᲘ. ჭიდაობა ძიუდოში ევროპის ჩემპიონატების 27 წლის ისტორიის მანძილზე კონტინენტის წლეულდელი პირველობა პირველად ტარდება ფინეთში. ასპარეზობა გაიხსნა 4 მაისს, დედაქალაქის სასახლე „იაპალიში“, რომელიც 10 000 მაყურებელს იტევს და რომლის სარბიელზეც არაერთხელ წარმატებით გამოსულან საბჭოთა ჰოკეისტები და ფიგურული ციგურაობის ოსტატები. ტატამზე ორთაბრძოლებში 20-ზე მეტი ქვეყნის ათლეტები მონაწილეობენ.

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში არიან: მონრეალის ოლიმპიადის გამარჯვებული ს. ნოვიკოვი, რომელიც კიევიდან მოსკოვში გადავიდა, ევროპის ჩემპიონი, ვოლგოგრადელი ე. პოგორელოვი, კონტინენტის ექს-ჩემპიონი, კიეველი ვ. დვორნიკოვი და თბილისელი ჯ. ნიკარაძე, აგრეთვე, დებიუტანტები კურსკელი ნ. სოლოდუხინი, მაიკოპელი ვ. გურინი და რიგელი ა. იაცკევიჩი. ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონი იაცკევიჩი გუნდში ყველაზე ახალგაზრდაა. იგი 20 წლისაა.

ასპარეზობა ხვალ დამთავრდება (საკდესი).

ბუდაპეშტის ქალთა საერთაშორისო ტურნირი ციფრებში

I. მ. ჩიბურდანიძე — 11 ქულა, II. ჟ. ვერეცი (უნგრეთი) — 10,5, III. კ. ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია) — 9,5, IV. მ. ივანკა (უნგრეთი) — 7,5, V-VI. მ. მურეშანი (რუმინეთი), გ. შმაჩინსკა (პოლონეთი) — 7-7, VII-VIII. ვ. კალხბრენერი (იუგოსლავია), მ. ვორპი (გდრ) — 6,5-6,5, IX. რ. კიში — 6, X-XI. ჟ. შაკაი, მ. პორუბსკი — 5,5-5,5, XII. ე. კრიშანი (ყველა — უნგრეთი) — 4, XIII. ვ. შიკოვა (ბულგარეთი) — 3,5, XIV. ა. ტომპა (უნგრეთი) — 1.

□

მაია ჩიბურდანიძეს ჭადრაკის სასახლეში შევხვდი. ჩვენი გაზეთის მკითხველების სახელით ბუდაპეშტის ქალთა საერთაშორისო ტურნირში გამარჯვება მივულოცე და ვთხოვე გაეზიარებინა უნგრული შთაბეჭდილებები, გაეხსენებინა შეხვედრები, დაეხასიათებინა მეტოქენი...

გულთბილი მასპინძლობა



— ჩვენი მასპინძელი იყო უნგრეთის რკინიგზის სამმართველო, — გვიამბობს მაია. — რკინიგზელებს ძალიან უყვართ ჭადრაკი და ბუდაპეშტში შესანიშნავი საჭადრაკო კლუბიც აქვთ. სწორედ ამ შენობაში მიმდინარეობდა ჩვენი ტურნირი. უტაშელატოს (ასე ეწოდება სამმართველოს) საჭადრაკო მოძრაობის სულისჩამდგმელი იყო ლასლო ალფელდი, რომლის მეცადინეობით 1973 წელს პირველად მოეწყო ქალთა საერთაშორისო ტურნირი. რატომ ქალთა? ეს ადგილი მისასვედრია, თუ შევიტყობთ, რომ უნგრეთის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე ჟუჟა ვერეცი ალფელდის მოწაფეა. ამ ტურნირებში გაუმარჯვიათ საბჭოთა დიდოსტატებს ირინა ლევიტინას, მარტა ლიტინსკაიას, ნანა ალექსანდრიასა და ანა ახშარუმოვას.

ჩვენი ტურნირი რიგით მეხუთე იყო, მაგრამ მას ეწოდებოდა ლასლო ალფელდის I მემორიალი. გამოჩენილი მოღვაწე და მწვრთნელი შარშან გარდაიცვალა. შეჯიბრებაში ალფელდის ოჯახმა საგანგებო პრიზი (ბროლის თასი) დაწესა. რა თქმა უნდა, თამაშს ოჯახის წევრები მუდამ ეს-წრებოდნენ. საერთოდ, საკმაოდ ბევრი მაყურებელი გვყავდა. ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ტურნირში ყველა გამოჩენილი უნგრელი მოჭადრაკე მონაწილეობდა.

ჭადრაკის სამყარო კარგად იცნობს უნგრეთის ამჟამინდელ ჩემპიონს ვერეცის. მან ჩვენს ტურნირში საერთაშორისო დიდოსტატის წოდების მიზაღებად მეორე ბალი შეასრულა და ოქტომბერში ფიდე, როგორც მის თანამემამულე მარია ივანკას, უმაღლეს სპორტულ თანრიგს მიანიჭებს.

თასისთვის მძაფრი სპორტული ორთაბრძოლა გაჩაღდა ჩეხსა და ვერეცის შორის. თავიდან იგი დაწინაურდა, მერე დაგვწია და ბოლო ტურში გავასწარი კიდეც. ფინიშზე ყველაზედ შეიდი პარტია მოვიგე.

ტურნირში ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. წლეულს შემოდგომაზე, არგენტინაში გაიმართება ქალთა VII საჭადრაკო ოლიმპიადა. ამიტომ მემორიალში წვრთნის მიზნითაც მონაწილეობდნენ თავიანთი ქვეყნების ოლიმპიური გუნდის წევრები: კალხბრენერი, ივანკა, ვერეცი, მურეშანი, მაკაი, ჰორუბსკი, შმაჩინსკა. ყველა საინტერესოდ და მონდომებით იბრძოდა.

შეუპოვარი იყო ერეტოვა, რომელმაც საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივი (პირველი ბალი) შეასრულა. იგი მხოლოდ ვერეცისთან და ჩემთან დამარცხდა. ივანკას ცუდად არ დაუწყია ბრძოლა (4 ქულა 5-დან), მაგრამ ფინიშზე დაიღალა და ბოლოს სამ პარტიაში მხოლოდ ნახევარი ქულა მოაგროვა. იგი დამარცხდა ვერეცისთან და ედიტ კრიშანთან. ივანკა ნონა გაფრინდაშვილთან ერთად მონაწილეობდა. ბელგრადის ქალთა ტურნირში და. მასი სიტყვით, დასვენება ვერ მოასწრო. წარუმატებლად აიღო სტარტი ჩვენმა ძველმა ნაცნობმა ვლასტა კალხბრენერმა, მაგრამ ფინიშზე სამი ქულა მოაგროვა ოთხ შეხვედრაში. თავგამოდებით იბრძოდა გრაჟინა შმაჩინსკაც.

ტურნირის ფინიშზე გვეწვია უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი, რომელმაც გულთბილად მოგვილოცა გამარჯვება პრეტენდენტთა მატჩებში. მასპინძლებმა მიამბეს, რომ მას ძლიერ უყვარს ჭადრაკი, პირადი ნაცნობობა აქვს ბევრ გამოჩენილ მოჭადრაკესთან.

დარბაზში ხშირად ვხედავდი ცნობილ უნგრელ მთარგმნელს მარტონ იმტვანოვიჩს. მან უნგრულად აამეტყველა „შუშანიკის წამება“ და არჩილ სულაკაურის მოთხრობები. მისახსოვრა რამდენიმე თავისი წიგნი. მისი მეუღლე ვერა, რომელიც უტაშელატოს სისტემაში მუშაობს, ყოველდღე გვაკითხავდა, ყურადღებას არ გვაკლებდა.

ალბათ საინტერესოა, რომ იქ სისტემატურად ვკითხულობდი გაზეთ „კომუნისტს“. ერთხელ „ცისკარიც“ (მეოთხე ნომერი) მომიტანეს, რომელშიც დაბეჭდილია არჩილ გოგელიას წერილი ალა კუშნირთან ჩემი მატჩის შესახებ.

ერთმა გულშემატკივარმა მაჩუქა ალბომი ხელოვნებისადმი მიძღვნილი მარკებით.

მეგობრული ურთიერთობა მოჭადრაკეებსა და მაყურებლებს შორის, რა თქმა უნდა, ალამაზებდა ჩვენს დაძაბულ პაექრობას.

საუბარი ჩაიწერა
თ. გიორგაძემ.

* * *

სურათზე: უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი ულოცავს მაია ჩიბურდანიძეს პრეტენდენტთა მატჩებში გამარჯვებას.

ლელვთახევის კლდეებზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისელ მეკლდეურებს ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი მორნინავე ადგილი უკავიათ. თუ ახლახან დამთავრებული საქალაქო შეჯიბრების მონაწილე გუნდებს გავეცნობით, არ გაგვიჭირდება იმ ორგანიზაციების დასახელება, რომლებიც თბილისში ყველაზე მეტად ზრუნავენ სპორტის ამ საინტერესო და ვაჟკაცური სახეობის განვითარებისთვის. ესენია უნივერსიტეტი, საქართველოს პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტები, თბილისის განათლების განყოფილების მოზარდთა მთამსვლური სპორტსკოლა და ასკ.

ხუთი გუნდის მონაწილეობა მეკლდეურთა საქალაქო შეჯიბრებისთვის ურიგო არ არის — წინათ ნაკლებიც გვინახავს, მაგრამ თუ გვინდა, რომ სპორტის ამ სახეობაში მართლაც უძლეველნი ვიყოთ, მათ სხვებმაც უნდა აუბან მხარი.

წლევანდელი შეჯიბრება თბილისის გარეუბანში, ლელვთახევში აღმართულ კლდეებზე გაიმართა. 60-მეტრიან ტრასაზე 40 მონაწილე გამოვიდა. ამ შეჯიბრებაში თავის გამოჩენის საშუალება რომ მიეცათ, თბილისის საუკეთესო მეკლდეურებმა შედარებით ახალბედებს დაუთმეს ადგილი.

ლელვთახევის კლდეებმა რამდენიმე პერსპექტიული მეკლდეური გამოავლინა. მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ უნივერსიტეტელი ბ. ბულაშვილი. იგი ამგვარი შეჯიბრების დებიუტანტი იყო. ეგ კი არა და, მეკლდეურობაში ვარჯიში მხოლოდ ამ გაზაფხულზე დაიწყო. და აი, პირველი სტარტი — პირველი სიხარული!

ბ. ბულაშვილმა ვაჟთა შორის წყვილთა გარბენში, სადაც 24 მონაწილე გამოდიოდა, II ადგილი დაიკავა — 119,8 ქულა. აქ სა[illegible] თესო იყო შ. მარტიროსიანი [illegible] — 120. ამ უკანასკნელმა წ[illegible] თა გარბენშიც გაიმარჯვა — [illegible]

დებიუტანტთაგან თავი ისა[illegible] აგრეთვე, მ. შამანაურმა ([illegible] ლური სპორტსკოლა), რომ[illegible] მესამე იყო ქალთა შორის [illegible] ვიდუალურ გარბენში. პირველ[illegible] ი წილად ხვდა უნივერსიტეტ[illegible] ნ. შარიქაძეს — 120 ქ. შემდ[illegible] შამანაურმა ლ. მიქელაძესთან[illegible] თად, „დომბაის წყვილებში“ [illegible] ადგილი დაიკავა. საპატიო [illegible] ცხლბეკის უმაღლეს საფეხ[illegible] უნივერსიტეტის წარმომად[illegible] ლი ნ. შარიქაძე და ე. ციხელ[illegible] ნი (131 ქ) ავიდნენ.

შეჯიბრებამ ისიც გვიჩვენა, [illegible] ბევრი სპორტსმენი სუსტად [illegible] მომზადებული. ეს განსაკუთ[illegible] ბით ვაჟთა შორის ინდივიდუ[illegible] რი გარბენის მონაწილეებზე [illegible] მის — 24 სპორტსმენიდან [illegible] ვარი კლდეებს მოსწყდა, [illegible] წყვილთა გარბენში კი 13[illegible] რვამ ვერ შეიმაგრა თავი კლ[illegible]

„უიღბლოები“ ძირითადად [illegible] ლბედები იყვნენ და ვფიქრ[illegible] მათ მარცხი გულს არ გაუტ[illegible] ახლა კი გვაცნობთ დებ[illegible] გამარჯვებულებს. ქალთა შ[illegible] წყვილთა გარბენში საუკეთ[illegible] იყო ე. ქიტუაშვილი (თსუ) [illegible] 120 ქულა, ხოლო ვაჟთა შ[illegible] „დომბაის წყვილებში“ — ნ. [illegible] დებულიძე და შ. მარტიროს[illegible] (ასკ) — 137.

გუნდურ პირველობაში ყვ[illegible] აჯობა თბილისის განათლების [illegible] ნყოფილების მოზარდთა მთ[illegible] ლურმა სპორტსკოლამ [illegible] 1550,48 ქულა. მეორე იყო [illegible] ვერსიტეტი — 1173,25, [illegible] მესამე — ფიზკულტურის [illegible] ტიტუტი — 885,62.

ა. რაჰველიშვილ[illegible]

„ვისაც კარგი ცხენი ყყავს“



„ლელოს“ 20 მარტის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, რომელიც გალის რაიონში ცხენოსნობის განვითარების საჭირბოროტო საკითხებს ეხებოდა.

ამ დღეებში რედაქციამ მიიღო საქართველოს კომუნისტური პარტიის გალის რაიკომის მეორე მდივნის მ. გეგეჭკორის წერილი, რომელშიც ნათქვამია: „წერილში აღნიშნული ფაქტები ძირითადად დადასტურდა. რაიონის ხელმძღვანელობამ იმსჯელა გაზეთში წამოჭრილ საკითხებზე და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღო: ჩხოროთოლის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობა შეიძენს სამ ცხენს და გუნდსაც [illegible] პლექტებს. ცხენოსანთა გუნდ[illegible] მოყალიბდა ქვემო ბარლების [illegible] საბჭოთა მეურნეობაში, წლის [illegible] ლოს ისინი ახალი ცხენების [illegible] ძენისთვისაც იზრუნებენ. დ[illegible] ბულია გალის საკოლმეურნეო[illegible] თაშორისო სპორტული კლ[illegible] ნაგებობის კაპიტალური რემონ[illegible] უახლოეს ხანებში კი შეძენ[illegible] იქნება 8 ცხენი. კეთილმოწყ[illegible] თავლაც. რაიონის იმ კოლმეურ[illegible] ნეობებსა და მეურნეობებს, რ[illegible] ლებსაც საწევრო შესატანი არ [illegible] დაუხლიათ, კატეგორიული წ[illegible] დადება მიეცათ, რათა დროულ[illegible] დაფარონ დავალიანება“.

მისაგაძ[illegible] მაგალითი[illegible]

„ლელოს“ ამაწლის 11 [illegible] ლის ნომერში წავიკითხე წერ[illegible] „ფიზიკური წრთობა ბავშვობ[illegible] ნეე“ (ავტორი კ. სალუქვაძე), [illegible] მელიც ძალზე საინტერესო [illegible] საჭირბოროტო საკითხებს ეხებ[illegible] და. მართლაც მოსაწონია ის, [illegible] საბჭოთა კავშირის ბევრ ქალ[illegible] საბავშვო ბაღებს არა მარტო [illegible] რტული დარბაზები, არამედ [illegible] ცურაო აუზებიც ჰქონიათ.

მისაბაძია ვოლგადონსკელთა [illegible] გალითი, სადაც ზაბახნო [illegible] ტატების საბჭოს „ომსკოვის [illegible] დაწყვეტილებით ბევრ საბავშ[illegible] ბაღში აშენებულა საცურაო [illegible]

იქნებ დროა ჩვენც გადმოვიღ[illegible] ვოლგადონსკელთა მაგალითი [illegible] ჩვენი შვილების ფიზიკურ განვ[illegible] თარებასა და ჯანმრთელობ[illegible] მდგომარეობას ხომ ძირითადად [illegible] გარემო განსაზღვრავს, რომ[illegible] შიც იგი ადრეული ასაკიდან ცხ[illegible] ვრობს და იზრდება.

ლ. ქოქრაშვილი
ყუბანი

პროგლემები, რომლებიც გადაჭრას მოითხოვს

პოპულაროგასთან ერთად მოთხოვნილეგა

გასული წელი ზესტაფონის რაიონის სოფლის ფიზკულტურულმა კოლექტივებმა წარმატებით დაამთავრეს. ფიზკულტურელთა რიცხვი 4020-მდე გაიზარდა. შიდასაკოლექტივო, ზონალურმა, რაიონულმა შეჯიბრებებმა და რესპუბლიკურ ღონისძიებებში მონაწილეობამ ხელი შეუწყო ნიშნისან თანრიგოსანთა მომზადების გეგმებისა და ვალდებულებების გაღაჭარბებით შესრულებას. გეგმის ზევით მომზადდა სსრ კავშირის სპორტის ერთი ოსტატი, 18 პირველთანრიგოსანი და სხვა. რამდენიმე სპორტსმენი შეყვანილი იქნა რესპუბლიკის სხვადასხვა ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებში — არგვეთელი რ. მოდებაძე, დილიკოურელი ტ. გაჩეჩილაძე და ა. ჯანკოცა, კვალითელი რ. ბიწაძე და სხვები ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას საბჭოთა კავშირის პირველობებზე იცავდნენ.

მესამე საზაფხულო სასოფლო სპორტული თამაშებისთვის ემზადებიან რაიონის მოჭიდაველები, მძლეოსნები, ლელობურთელები, ძალოსნები, რომლებსაც გამოცდილი მწვრთნელები ამზადებენ.

„კოლმეურნეს“ რაიონული საბჭოს ჩემპიონი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ თანამშრომელი კვალითის კოლმეურნეობის ფეხბურთელთა გუნდი რესპუბლიკის ზონალურ პირველობაზე ითამაშებს.

სოფლად მასობრივ-ფიზკულტურული, გამაჯანსაღებელი და სასწავლო სპორტული მუშაობა უფრო მაღალ დონეზე იქნებოდა, რომ მეტი ყურადღება ექცეოდეს სპორტული ბაზების მშენებლობასა და არსებულის კეთილმოწყობას. ამჟამად სოფლად არსებული სპორტული ბაზები სრულად ვერ აკმაყოფილებენ სოფლის მოსახლეობის დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნებს. რაიონის 20 სასოფლო ფიზკულტურულ კოლექტივზე მოდის 15 ფეხბურთის მინდორი და 7 ფრენბურთის მოედანი. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არ არის არც ერთი სასროლეში, საცურაო აუზი და სპორტული დარბაზი.

ა. ბანუბრავა.

პიროგეგი თუმცა გაუმჯოგესდა...

სადგური, ოთხიოდე წლის წინ გაიხსნა განათლების სამინისტროს სპორტული სკოლა, რომელშიც ამჟამად 16 ჯგუფია და 200-მდე ბავშვი მეცადინეობს.

სკოლის პედაგოგთა შრომის შედეგმა თანდათან იჩინა თავი: თუ შარშანწინ მცხეთელმა მოსწავლენიჩბოსნებმა ბაიდარებითა და კანოეებით საქართველოს მოზარდთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მესამე (ვაჟები) და მეხუთე (გოგონები) ადგილები დაიკავეს, შარშან ასეთსვე ტურნირში შესაბამისად პირველი და მესამე ადგილები მოიგეს.

— ნანა ჯანანაშვილი ნიჩბოსნობისთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო, — გვიყვება სკოლის დირექტორი ფ. ხუროშვილი. — საუკეთესო ფიზიკური და ტექნიკური მონაცემების მქონე გოგონასგან უმაღლესი კლასის სპორტსმენი დადგებოდა, მაგრამ, თუმცა მას სურს ვარჯიში, სამწუხაროდ, ვერც სკოლასთან არსებულმა მშობელთა კომიტეტმა, ვერც რაიონის განათლების განყოფილებამ ვერ შეძლო ბავშვის მშობლების დაყოლიება...

შესაძლოა მშობლების შიში ბუნებრივია, მაგრამ იგი საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან სკოლაში უსაფრთხოების ყველა წესი დაცულია და წყალზე სავარჯიშოდ გასულებს არავითარი ხიფათი არ ემუქრებათ.

ჯანანაშვილის მაგალითი გამონაკლისი როდია.

სკოლას სხვა პრობლემებიც აწუხებს — ნაკლებია მოსწავლეთა საერთო ფიზიაღზრდაში ვარჯიშისთვის საჭირო ბაზები, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნების მოწყობა ჭიანურდება, ზამთარში მეცადინეობისთვის დარბაზი არ აქვთ. ამას ერთვის სპორტინვენტარის, სპორტული ფორმების ნაკლებობაც.

მცხეთის სპორტულ სკოლას, ეფიქრობთ, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

თ. ძიკავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

41 ლლჯ რეკვიზიტები

უმაღლესი ლიგა

კრიზი იერიშების „კონსტრუქტორს“ დავით ყიფიანს — „ბროლის ლარნაკი“

საქართველოს სპორტკომიტეტმა დააწესა პრიზი — „ბროლის ლარნაკი“ — „ყველაზე მეტი საგოლე გადაცემისათვის“. ეს ჯილდო განკუთვნილია თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებისთვის. შარშანდელი შედეგების მიხედვით „ბროლის ლარნაკი“ გადაეცემა **დავით ყიფიანს.** მან შარშან 13 გოლი გაიტანა, ხოლო თანგუნდელებმა მისი ზუსტი გადაცემების მერე 14-ჯერ აიღეს მეტოქეთა კარი (საქინფორმი).

სტატისტიკოსის გლოკნოტში

მოგვუყავს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 2 მაისის ტურის შეხვედრათა ტექნიკური მონაცემები.

„ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „შახტიორი“ (დონეცკი) 1:0. გოლი 61-ე წუთზე გაიტანა შევჩენკომ. გაფრთხილებულია დონეცკელი პიანიხი.

„ნეფთჩი“ (განჯა) — „ქაირათი“ (ალმა-ათა) 1:0. ბურთი მე-8 წუთზე გაიტანა შახლიაროვმა. ბაქოელმა ბანიშევსკიმ ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი დარტყმა.

„ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „დინამო“ (კიევი) 1:2. კიეველების — ონიშჩენკოს და ბლოხინის 2 ბურთს, მასპინძლებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს (ოლენევი).

„შახთაკორი“ (ტაშკენტი) — „არარატი“ (ერევანი) 2:0. ბურთები გაიტანეს მაკაროვმა და ფიოდოროვმა.

„ზენიტი“ (ლენინგრადი) — ცსკა 2:1. ლენინგრადელთა ორივე გოლის ავტორია კლემენტიევი. საპასუხო ბურთი 11-მეტრიანი დარტყმით გაიტანა ჩეხოსოვმა. ამას გარდა, ზენიტელმა გოლუბევმა ვერ გამოიყენა პენალტი. გაფრთხილებული არიან მოსკოველები ოლშანსკი და ტარხანოვი.

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი) 1:2. ეს მატჩი შედგა 3 მაისს. დინამოელთა მხრივ ორივე ბურთი გაიტანა იაკუბიკმა. საპასუხო გოლის ავტორი იყო იარცევი. გაფრთხილებულია სპარტაკელი ციბინი.

ლენინგრადის „ზენიტის“ მწვრთნელმა პ. სადირინმა გაფრთხილება მიიღო იმის გამო, რომ მატჩის დროს კარის უკან იდგა და ცდილობდა მითითებები მიეცა თავისი მოთამაშეებისთვის, რაც დებულებით აკრძალულია.

გაფრთხილებულია, აგრეთვე, ვოროშილოვგრადის „ზარიას“ უფროსი მწვრთნელი ი. ზახაროვი, რომელმაც პრეს-კონფერენციაზე უსაფუძვლოდ დასდო ბრალი მატჩის არბიტრს არაობიექტურობისთვის.

სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

ქუთაისელები კვლავ იმარჯვებენ

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 3 მაისი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „კარპატი“ (ლვოვი) 2:0 (1:0).

„ტორპედო“: მ. კვერნაძე, გვაძაბია (ა. კვერნაძე), სულაქველიძე, მელიქია, თევზაძე, ფარულავა, ბურკაძე (ცვიკანტირაძე), ქვირია, ფესტვენიძე, (გაბიჩვაძე), ზ. სვანაძე, შელია.

„კარპატი“: სტარაშენკო, როდინი, სუსლოპაროვი, ჩორბა, ბონდარენკო, ბროვარსკი, იურჩიშინი, ბალი, დანილიუკი, დუბროვნი (საფრონოვი), კოზინკევიჩი (შჩერბეი).

მსაჯი ნ. კოზიაკოვი (ვორონეჟი).

გოლები: შელია (35-ე წუთი), ფარულავა (70-ე). მეკარე გაბელიამ აიღო ჩორბას მიერ დარტყმული პენალტი.

გაფრთხილებულია ბროვარსკი. დუბლიორები — 1:2.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 6 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ყუბანი“	5	4	1	0	9—3	9
ასკ რ.	6	3	3	0	11—5	9
„დინამო“ მნ.	6	3	2	1	12—7	8
„ტავრია“	6	3	2	1	10—5	8
„თურგი“	6	4	0	2	7—6	8
„ნისტრუ“	5	3	1	1	8—5	7
„შინიკი“	6	2	3	1	6—4	7
„ტორპედო“	6	3	1	2	9—8	7
„სპარტაკი“ ორ.	6	3	0	3	8—7	6
„ჟალგირისი“	6	1	4	1	6—5	6
„კარპატი“	5	3	0	2	7—7	6
„პამირი“	6	1	4	1	4—5	6
„ჰრ. სოვეტოვი“	5	2	1	2	6—6	5
„კოლხოზჩი“	6	0	4	2	4—8	4
„სპარტაკი“ ი.-ფ.	5	1	2	2	2—6	4
„დინამო“ ლ.	6	1	1	4	8—12	3
„მეტალურგი“	6	0	3	3	5—9	3
„კუზბასი“	5	1	0	4	4—7	2
ასკ ოდ.	5	0	2	3	4—8	2
„ურალმაში“	5	1	0	4	2—9	2

II ლიგა. ერთიანი ჯგუფი

მდგომარეობა 6 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოტაიკი“	8	7	1	0	11—0	15
„შირაკი“	8	6	2	0	18—7	14
„ლოკომოტივი“	8	5	2	1	11—4	12
„დინამო“ ზ.	8	4	3	1	11—5	11
ფიზკ. ინსტ.	8	4	3	1	11—8	11
„ბურია“	8	4	2	2	12—7	10
„დინამო“ ბ.	8	4	2	2	10—5	10
„ყარაბახი“	8	5	0	3	9—5	10
„ურალეცი“	8	4	2	2	12—11	10
„ზვეზდა“	8	3	3	2	8—5	9
„დინამო“ ს.	8	4	1	3	11—9	9
„ზენიტი“	8	3	3	2	8—7	9
„დილა“	8	2	4	2	9—9	8
„გასტელო“	8	3	1	4	8—11	7
„გაზოვიკი“	8	2	2	4	10—10	6
„დრუჟბა“	8	2	2	4	5—7	6
„ტორპედო“	8	1	3	4	4—7	5
„დინამო“ კრ.	8	2	1	5	7—12	5
„რუბინი“	8	1	3	4	4—9	5
„ხაზარი“	8	2	1	5	6—13	5
„ტურბინა“	8	2	1	5	8—19	5
„ავტომობ.“	8	2	0	6	5—13	4
„პროგრესი“	8	1	1	6	10—16	3

საფეხბურთო ჯიჯგანური

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი 2 ტურის მატჩები.

I ჯგუფი

„ნადიკვარი“ (თელავი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1:2. მსაჯი ა. მჭედლიძე (თბილისი).

ანგარიში გახსნა რუსთაველმა აშამძემ, რის შემდეგ მისმა თანაკლუბელმა ძაგოევმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. 75-ე წუთზე ალადაშვილის ზუსტმა დარტყმამ გამარჯვება მოუტანა „მეტალურგს“.

„კოლხეთი“ (ხობი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 0:0. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).

„კოლხეთი“ (ფოთი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

ფოთელებმა გაიმარჯვეს სანაიას მიერ 65-ე წუთზე გატანილი ბურთის მეოხებით.

„სკური“ (წალენჯიხა) — „მზიური“ (გალი) 1:2. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

წალენჯიხელი ქვარაიას გოლი გაქვითა ესიპოვმა, ხოლო ხარაბაძემ გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „სპარტაკი“ (თბილისი) 0:0. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) 1:0. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).

11-მეტრიანი დარტყმა კარგად გამოიყენა კვარაცხელიამ.

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „იბერია“ (ქარელი) 4:0. მსაჯი გ. ბაშკოვი (ბათუმი).

„დურუჯი“ (ყვარელი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 3:0. მსაჯი ლ. ლონღაძე (თბილისი).

ბურთები გაიტანეს თინიკაშვილმა, ფუღიაშვილმა და ხოხაშვილმა.

„მერცხალი“ (მახარაძე) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:0. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

თავი გამოიჩინეს გეგიაძემ და მეკავანაძემ.

„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „ივერია“ (ხაშური) 1:0. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).

ერთადერთი გოლის ავტორია გეგეჭკორელი მურვანიძე.

ასკ (თბილისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:0. მსაჯი გ. მიქაუტაძე (თბილისი).

ბურთები გაიტანეს მირზოევმა და ჭითანავამ.

ასკ (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური) 0:0. მსაჯი გ. ბაბკოვი (ბათუმი).

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 2:1. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).

თბილისელი აკოფიანის გოლი შესვენებამდე გაქვითა ჯ. ოდიშარიამ, მაგრამ მეორე ტაიმში სტუდენტებმა კვლავ შეძლეს დაწინაურება (ქაჯაია).

„ეგრისი“ (ცხაკაია) — „მერცხალი“ (მახარაძე) 1:1. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

„იბერია“ (ქარელი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

მასპინძლებს გამარჯვება მოუტანა ცუცქირიძის ზუსტმა დარტყმამ.

„ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

ბურთები გაიტანეს დადუნაშვილმა და მარგველაშვილმა.

„სპარტაკი“ (თბილისი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 1:5. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

გამარჯვებულთაგან 2 ბურთი ეკუთვნის შოთაძეს, 2 — ბახმალოვს და 1 — ბოლქვაძეს, ხოლო სპარტაკელთაგან — ჩატოევს.

„მზიური“ (გალი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 3:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ხარაბაძემ, გუგუჩიამ და კვეკვესკირმა, ცხინვალელთაგან — ძაგოევმა.

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „სკური“ (წალენჯიხა) 5:3. მსაჯი ზ. ზუმბაძე (ახალციხე).

„მეშახტე“ (ტყიბული) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:0. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).

ტყიბულელმა ქარქაშაძემ 30-ე წუთზე გაიტანა გოლი ლიდერის კარში, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა ამ მატჩში.

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:0. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

2 ბურთი გაიტანა კერესელიძემ, 1 — არევაძემ.

„ჩიხურა“ (საჩხერე) — „ნადიკვარი“ (თელავი) 4:1. მსაჯი ლ. ლონღაძე (თბილისი).

ყველა ბურთი გატანილი იქნა შესვენების შემდეგ. მასპინძელთაგან წარმატებას მიაღწიეს მახარაძემ, ქანთარიამ, წიკლაურმა და თურმანიძემ, ხოლო სტუმართაგან — იაშვილმა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლხეთი“ ფ.	11	8	1	2	26—6	17
„მეშახტე“	11	7	3	1	14—5	17
„მერცხალი“	11	5	6	0	16—5	16
„მზიური“	11	6	3	2	18—9	15
„მეტალურ.“ რ.	11	6	3	2	17—8	15
„კოლხეთი“ ხ.	12	4	6	2	7—8	14
„მაღაროელი“	11	6	1	4	19—13	13
„ჩიხურა“	11	4	5	2	16—10	13
ფიზკ. ინსტ.	12	6	1	5	18—21	13
ასკ თბ.	14	2	8	4	10—13	12
„ამირანი“	12	4	4	4	8—14	12
პოლიტ ინსტ.	12	5	1	6	18—14	11
„ივერია“ ხ.	12	4	3	5	7—12	11
„სპარტ“. ცხ.	12	3	4	5	12—11	10
„ენერგეტ.“	12	4	2	6	11—14	10
„სპარტაკი“ თბ.	11	3	4	4	7—13	10
„დურუჯი“	11	4	2	5	9—17	10
„ეგრისი“	13	2	6	5	7—18	10
„სალხინო“	11	2	5	4	10—16	9
„სკური“	12	2	4	6	14—17	8
„იბერია“ ქ.	12	3	2	7	10—24	8
„მეტალურ.“ ზ.	11	2	3	6	16—15	7
„ნადიკვარი“	12	1	5	6	10—17	7

II ჯგუფი

I ზონა

„ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „გიგანტი“ (გამარჯვება) 2:0, „ვარძია“ (ასპინძა) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 1:1, „ფიჩხოვანი“ (ახმეტა) — „განთიადი“ (თბილისი) 1:1, „მესხეთი“ (ახალციხე) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 2:1, „სიონი“ (ბოლნისი) — ტაქსმოტორი № 3 (თბილისი) 1:1, „განახლება“ (ადიგენი) — „გარისი“ (თეთრი წყაროს) 5:1, „არაგვი“ (მცხეთა) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 0:0, „აბული“ (ახალქალაქი) — „იორი“ (თიანეთი) 3:1, „თრიალეთი“ (წალკა) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 0:1, „სამცხე“ (აწყური) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 4:2.

„ვიგანტი“ — „ცისკარი“ 3:1, „ალაზანი“ — „სამცხე“ 6:0, „იორი“ — „თრიალეთი“ 5:2, „ბახტრიონი“ — „აბული“ 0:1, ტაქსმოტორი № 3 — „განახლება“ 2:0, „განთიადი“ — „მესხეთი“ 2:1, „გარეჯი“ — „ფიჩხოვანი“ 3:1, „ჰერეთი“ — „ვარძია“ 2:1.

II ზონა

„ნაკადული“ (ჩხოროწყუ) — „სულორი“ (ვანი) 1:2, „ავტომობილისტი“ (გაგრა) — „შუქურა“ (ქობულეთი) 4:2, „შახტიორი“ (ტყვარჩელი) — „ჩამოსსმელი“ (ბორჯომი) 6:2, „გიგანტი“ (ლაითურა) — „მეშაქრე“ (აგარა) 3:3, „ოჯალეში“ (ბანძა) — „ნარეჯა“ (მახარაძე) 1:0, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „სენაკი“ (ცხაკაია) 1:0, „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) — „ავტომობილისტი“ (აბაშა) 3:2.

„სენაკი“ — „ავტომობილისტი“ (ბათუმი) 1:1, „ნარეჯა“ — „სამგურალი“ 1:2, „მეშაქრე“ — „ოჯალეში“ 1:0, „ჩამოსსმელი“ — „გიგანტი“ 3:1, „იმერეთი“ — „შახტიორი“ 7:1, „შუქურა“ — „მეკაღალდე“ 3:2, „ბასმარო“ (ჩოხატაური) — „ნაკადული“ 2:1.

სპორტული ჩანაწერები

განვლილ მატჩებში მინდვრიდან იქნენ გაძევებული თ. ადუაშვილი (თბილისის „სპარტაკი“) და ბ. ქარქაშაძე (ტყიბულის „მეშახტე“).

გაფრთხილებები მიეცათ შემდეგ ფეხბურთელებს: თ. ვაწაძეს („ენერგეტიკოსი“, თერჯოლა), დ. ებრალიძეს (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), გ. ცუცქირიძეს („იბერია“, ქარელი), ა. ტალახაძეს („ჰერეთი“, ლაგოდეხი), ბ. ხარაბაძეს („მზიური“, გალი), ბ. გოგელაურს („ბახტრიონი“, ახმეტა), ვ. ბურჯანაძეს („მეშაქრე“, აგარა), ვ. აბდულაევს („ნადიკვარი“, თელავი), ს. კოზმავას („შახტიორი“, ტყვარჩელი), ი. ალალაშვილს („მეტალურგი“, რუსთავი).

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

ევროკლუბი

თასი — „ანდერლეხტს“

პარიზი, 3. მაისი. აქ შედგა ფეხბურთის ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩი ბელგიის „ანდერლეხტსა“ და ავსტრიის „აუსტრიას“ შორის.

1976 წელს ბელგიელები უკვე ფლობდნენ ამ პრიზს. მათ ახლაც გაიმეორეს წარმატება, ამასთან საკმაოდ იოლად სძლიეს მეტოქეს — 4:0 (3:0).

ანგარიში მე-4 წუთზე გახსნა რენსენბრინკმა, ხოლო 44-ე და 45-ე წუთებზე მან და ვან ბინსტმა წარმატების ყოველგვარი შანსი გადაუწურეს „აუსტრიას“. ინიციატივას შესვენების შემდეგაც „ანდერლეხტი“ ფლობდა, რასაც ვან ბინსტის მეოთხე გოლი მოჰყვა.

ფინეთი — მექსიკა 0:1

ჰელსინკში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში მექსიკისა და ფინეთის ნაკრებ გუნდებს შორის. თამაში მოიგეს მექსიკელებმა ანგარიშით 1:0. ეს გოლი შეხვედრის ბოლო წუთზე გაიტანა სანჩესმა.

არგენტინა — ურუგვაი

ბუენოს-აირესი. აქ გაიმართა არგენტინისა და ურუგვაის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა, რომელიც არგენტინელებმა მოიგეს ანგარიშით 3:0. ბურთები გაიტანეს ლუკემ, არდილესმა და ალონსომ.

კონკურსში გამარჯვებულნი

ფიზკულტურულ-სპორტული ბუშაობის ამაღლებისა და სპორტის ფართო პროპაგანდისთვის საქართველოს სპორტკომიტეტმა გამოაცხადა კონკურსი სპორტულ ჟურნალისტთა შორის კომპლექსური შეჯიბრებების — რესპუბლიკური და საკავშირო ახალგაზრდული თამაშების, საქართველოსა და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებისთვის მზადების საუკეთესოდ გაშუქებისთვის.

კონკურსის შედეგები შეჯამდა პრესის დღის წინ. პირველი გაბარჯვებულები არიან საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სპორტულ გადაცემათა რედაქციის რედაქტორი თამელა კახიძე და გაზეთ „ლელოს“ განყოფილების გამგე ოთარ გელაშვილი (საქინფორმი).

ვეღოსპორტი

ფლორენციაში დამთავრდა ველოსიპედისტთა მრავალდღიანი საერთაშორისო რბოლა, რომელშიც გუნდური და პირადი გამარჯვება საბჭოთა ველოსიპედისტებმა იზეიმეს. პირად ტურნირში უძლიერესი გახლდათ ტარტუელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. პიკუუსი.

როგორც რომის გაზეთი „პაეზე სერა“ აღნიშნავს, საბჭოთა კოლექტივი წარმოადგენდა შესანიშნავი სოლისტების გუნდს.

გრძელდება მექსიკის საერთაშორისო მრავალდღიანი ველოსრბოლა, რომლის შვიდი ეტაპი მოიგო მინსკელმა ა. მიკლაშევიჩმა. მან 169 კმ 4 საათსა, 48 წუთსა და 13 წამში დაფარა. ახლა იგი მრავალდღიან რბოლაში მეხუთე ადგილზე იმყოფება. ლიდერობს პოლონელი ჰ. ჩარუეკი. კუიბიშეველი რ. გალიალეტდინოვი მესამე ადგილზეა, ხოლო კიშინიოველი ვ. სკრებნიკოვი — მეოთხეზე.

მრავალდღიანი ველოსრბოლის საერთო სიგრძე 1600 კილომეტრია. გამარჯვებისთვის იბრძვის 12 კოლექტივი.

მძლეოსნურ მერიდიანებზე

ბუდაპეშტი გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება ყოველკვირეულ „კეპენ სპორტის“ თასზე. სპორტსმენები ერთმანეთს ეცილებოდნენ 7,5 კილომეტრზე რბენაში, იმარჯვა მინსკელმა სტაიერმა ვ. ზოტოვმა — 21.29,5. II ადგილზეც საბჭოთა სპორტსმენი ბრესტელი ა. ასტაფოვი. იგი ზოტოვს 1,4 წამით ჩამორჩა. ფინიშთან მესამე მივიდა ინგლისელი ნ. კოპლენდი — 21.34,6.

ნაუბურგში (გდრ). გამართულ სპორტული სიარულის ოსტატთა შეჯიბრებაში აშკარა იყო საბჭოთა და გდრ-ის მძლეოსანთა უპირატესობა. 50 კილომეტრზე ტრასის ახალი რეკორდით იმარჯვა ალმაათელმა ვ. სოლდატენკომ, რომელმაც ერთადერთმა შეძლო 4 საათის ზღვარიდან გამოსულიყო — 3:58.19,9. 20 კილომეტრზე სიარულში მოიგო რ. ვიზერმა (გდრ) — 1:25.18,8.

კალიფორნიის ქალაქ სან-ხოსეს სტადიონზე გამართულ ასპარეზობაში ბადრის ტყორცნაში მსოფლიო რეკორდსმენმა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა მ. უილკინსმა საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი — 70,48 მ მოიპოვა. 28 წლის ათლეტის ეს შედეგი 38 სმ-ით ჩამორჩება მისსავე მსოფლიო მიღწევას.

ვესტვუდი (აშშ). ამერიკელ სტუდენტ-მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში 22 წლის ჯ. ედვარდსმა 200 მეტრი 20,03 წამში გაირბინა, რაც წლეულს საუკეთესოა მსოფლიოში და მეხუთე ამ სახეობის ისტორიაში. მანვე მოიგო 100 მეტრზე რბენა — 10,18. მსჯელებმა წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგი აღნიშნეს, აგრეთვე ვაკების 4×100 მ ესტაფეტაში — 38,85.

„პენსილვანიის ესტაფეტებში“, რომელიც ფილადელფიაში გაიმართა, ირლანდიელმა ჯ. ტრესიმ წლეულს სტაიერთა შორის პირველმა 10 კილომეტრი 28 წუთზე უკეთეს დროში გაირბინა — 27.55,2. ორი მსოფლიო ექს-რეკორდსმენის, ამერიკელების დ. სტოუნზისა და ჰ. ჯეკობსის დუელი სიმაღლეზე ხტომაში ჯეკობსის გამარჯვებით დამთავრდა. ორივემ 223 სმ დაძლია.

დასავლეთგერმანელმა სპორტსმენმა ქალმა ჰ. რეპსერმა ოლიმპიადა 72-ის დეიდაქალაქში გამართულ შეჯიბრებაზე შუბი 61,28 მეტრზე ტყორცნა.

ამას წინათ თბილისის სპორტკომიტეტის ინიციატივით დედაქალაქის ქუჩებში გაიმართა მოსწავლე მძლეოსანთა ამანათრბენი, რომლის ტრასა მელიქიშვილის ქუჩიდან ლენინის მოედნამდე გრძელდებოდა. სურათზე: ამანათრბენის ერთ-ერთ ეტაპზე. ე. ხუციურაულის ფოტო.

კალათბურთი

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ესენიკში კალათბურთელ ქალთა გუნდების საერთაშორისო ტურნირში გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ნაკრების სპორტსმენებმა განაგრძეს მზადება ევროპის ჩემპიონატში სააპარეზოდ, რომელიც პოლონეთში გაიმართება. საბჭოთა, კალათბურთელებმა პრაღაში სამი შეხვედრა ჩაატარეს ქვეყნის ახალგაზრდულ გუნდთან და სამივე მატჩში მათ მოიგეს ანგარიშით 96:72 (48:34). განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ფერიაბნიკოვამ და შარმამ, რომლებმაც საბჭოთა გუნდს 14-14 ქულა მოუტანეს.

„რუდე პრავო“ მოსკოვის ოლიმპიადის შესახებ

მშენებლობა — მთელს ქვეყანაში

პრაღა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ლორდი კილახინი არ ფლობს იმ სიძნელეებს, რომელთაც სოკი-ი აწყდება. 1984 წლის ოლიმპიური თამაშების მომზადების პროცესში, — წერს გაზეთი „რუდე პრავო“. იგი შეშფოთებულია იმით, რომ სახაფხულო ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორობას მხოლოდ ერთი ქალაქი — ლოს-ანჯელესი კისრულობს, ხოლო კონკურენტების უყოლობა ორგანიზატორ-ქალაქს თავისი პირობების კარნახის შესაძლებლობას აძლევს. კილანინი აღნიშნავდა, რომ ეს საშიშროება საფუძველმოკლებული არ არის, განსაკუთრებით ისეთი კანდიდატურის დროს, როგორიცაა ლოს-ანჯელესი. აქ არაფერია გასაკვირი, გავიხსენოთ ბოლო ორი ზაფხულის ოლიმპიადა მიუნხენსა და მონრეალში. როცა მიუნხენი ემზადებოდა ოლიმპიადისთვის, ბევრმა სპეციალისტმა მიუთითა გადაჭარბებულ კაპიტალდაბანდებაზე, ხელოვნურ ფუფუნებაზე. მონრეალიც დიდად არ განსხვავდებოდა მიუნხენისგან.

ყველაფერ ამას მოჰყვა ის, რომ ოლიმპიური თამაშების მოსამზადებისთვის გაწეული დიდი ხარჯის გამო მიუხედავად საქალაქო საბჭო იძულებული გახდა უარი ეთქვა რამდენიმე სკოლისა და ბევრი სპორტული ბინის მშენებლობაზე.

რაც შეეხება მონრეალს, იქ ჯერაც არ იციან ზუსტად რამდენი ვალი დაედო ქალაქს ოლიმპიადისთვის მზადებისას და როდის გაისტუმრებენ ამ ვალს. უკეთესი პირი არ უჩანს მდგომარეობას ლოს-ანჯელესშიც, თუმცა მისი კანდიდატურა ჯერ დამტკიცებული არ არის.

მოსკოვი სოციალისტური ქვეყნის წარმომადგენელი პირველი ქალაქია, რომელსაც მიენიჭა საზაფხულო ოლიმპიური თამაშების მოწყობა. კილანინი, რომელიც დეტალურად გაეცნო მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობას, კმაყოფილი დარჩა ახალი სპორტული ნაგებობების მშენებლობისა და მოქმედი ობიექტების რეკონსტრუქციის ტემპებით. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფინანსო ბიუჯეტის მიზანმიმართული დამუშავებით, მრავალჯერ შემოწმებული ყველა გეგმის თანმიმდევრული შესრულებით შეიძლება იმის მიღწევა, რომ ხარჯები არ აღემატებოდეს გონივრულის ჩარჩოებს.

სპორტსმენები, სპეციალისტები და სპორტული მუშაკები, რომელთაც საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ 1980 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებას, მაღალ შეფასებას აძლევენ მოსკოველ ორგანიზატორთა საქმიანობას. ისინი მიუთითებენ, რომ ყველა ოლიმპიური მშენებლობა ისეა გაანგარიშებული, რომ მოემსახუროს საბჭოთა სპორტსმენებსა და ახალგაზრდებს თამაშების დამთავრების შემდეგაც.

საბჭოთა საზოგადოებრიობა არა მარტო ოლიმპიურ თამაშებზე ამახვილებს ყურადღებას, სპორტული მშენებლობა მიმდინარეობს არა მარტო მოსკოვში. ტალინში, ლენინგრადში, კიევსა და მინსკში, არამედ მთელს ქვეყანაში. და ეს მშრომელთა ჯანმრთელობისთვის სოციალისტური საზოგადოების მუდმივ ზრუნვაზე მოწმობს, ხაზგასმით ასკვნის „რუდე პრავო“.



მოსკოვში, ზუბოვკის მოედანზე მიმდინარეობს მთავარი პრეს-ცენტრის მშენებლობა ჟურნალისტთათვის, რომლებიც 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებს გააშუქებენ. საკდესის ფოტო.

ჰოკეი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 ტურის შემდეგ

	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
ჩეხოსლოვაკია	5	0	0	35—9	10
სსრ კავშირი	5	0	0	38—15	10
შვეიცარია	4	0	1	28—11	8
კანადა	3	0	2	23—17	6
ფინეთი	1	0	4	17—26	2
გფრ	1	0	4	17—31	2
გდრ	1	0	4	9—37	2
აშშ	0	0	5	15—36	0

პრაღაში გრძელდება ჰოკეისტთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები.

პირველი გამარჯვებები იზეიმეს გდრ-ისა და გფრ-ის გუნდებმა. პირველმა მოუგო ფინეთის ნაკრებს — 4:3, ხოლო დასავლეთგერმანელმა ჰოკეისტებმა — ამერიკელებს — 7:4.

გუშინწინ შედგა ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი. სსრ კავშირის ჰოკეისტები შვედებს შეხვდნენ და გაიმარჯვეს 6:1. ჩეხოსლოვაკიამ დაამარცხა კანადა 5:0.

„მჯერა ჩემი აღზრდილებისა“

ბუდაპეშტი. „უნგრელი ძალოსნები კმაყოფილები არიან III ადგილით, რომელიც მათ მსოფლიო რანგების ტაბელში აქვთ დაკავებული, — საკდესის კორესპონდენტს განუცხადა უნგრეთის ნაკრების ძალოსანთა უფროსმა მწვრთნელმა ანდრაშ ორვოშმა. — საბჭოთა გოლიათები, ალბათ მოსკოვის ოლიმპიურ ტურნირზეც შეინარჩუნებენ წამყვან პოზიციებს. ჩვენ ვერც ბულგარელ ძალოსნებს შევდრებით, რამდენადაც ამ ქვეყანაში იციან საუკეთესო ახალგაზრდა ძალოსნების მომზადება“.

უნგრეთის ნაკრების უფროსი მწვრთნელის აზრით, მის აღზრდილებს III ადგილის შენარჩუნებისთვის შეუპოვარი ბრძოლა მოუწევთ სწრაფად მზარდი კუბელი ძალოსნების, გდრ-ის ათლეტებისა (რომლებმაც წარმატებით გამოიყენეს საბჭოთა სავარჯიშო მეთოდები) და პოლონეთის ნაკრების წინააღმდეგ.

და მაინც ჩვენი პოზიცია საკმაოდ მყარია. უპირველესად, კარგი სპეციალისტების სახელი დაიმკიცრეს ჩვენმა ვეტერანებმა, რომლებმაც მსოფლიო დიდება მოუპოვეს უნგრეთის ძალოსნობას. თითოეული მათგანის ირგვლივ შეიქმნა ძლიერი ცენტრი.

უნგრეთის ნაკრებს კარგი შევსება ჰყავს. ნიჰიერთა შორის ორვოშმა დაასახელა ოლახი (52 კგ-მდე), სარაზი (60), ბაცაკო (82,5), რეხუს-უზორი (90), შოიომარი (100), სალაი (110), მსუბუქი წონისნები დომო და ვარგა.

ვეტერანებიდან ჩვენს გუნდში ორი დარჩა — მონრეალის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი დიერდ კოსეგი (52 კგ) და 1973 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ანდრაშ შტარკი (75).

მე მჯერა ჩემი აღზრდილების საბრძოლო სულისკვეთებისა. ისინი სერიოზული საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა, როგორიცაა „მეგობრობის თასი“, „დუნაის თასი“, იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი, საბერძნეთში, მათ ოსტატობის დახვეწასა და გამოცდილების შეძენაში დაეხმარება (საკდესი).

„ეძებთ ჭალანჯებს“

სოფია. მოცურავეთა შეჯიბრებით აქ საზეიმოდ გაიხსნა ბულგარეთის სტუდენტთა საიუბილეო, 30-ე სპორტული თამაშები დევიზით: „პროგრესი, სპორტი, სწავლა“. შეჯიბრების პროგრამაშია სპორტის 21 სახეობა. მათ რიცხვში პირველადაა შეტანილი ძიუდო, სროლა და ბადმინტონი.

ფინალურ ასპარეზობებში, რომლებიც სოფიასა და ბულგარეთის სხვა ქალაქებში გაიმართება, 2000 მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი იასპარეზებს (საკდესი).

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. 6 მაისი. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). დასაწყისი 12 ს. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „მზიური“ (გალი). 14 ს.

თავისუფალი ჭიდაობა. „ლოკომოტივის“ დარბაზი. 6-7 მაისი. საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების სპარტაკიადის პროგრამით. დასაწყისი 12 ს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელი“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-58; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭიდრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამოშვება — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — УЭ 02073